

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტები

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში.

მცხეთის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, დასავლეთით - კასპის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით - დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით - გარდაბნისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები და ქალაქი თბილისი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ფართობია 805 კმ², მუნიციპალური და რეგიონის ცენტრია - ქალაქი მცხეთა.

მცხეთის მუნიციპალიტეტი მოქცეულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში, იცის ცხელი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია ძირითადად დაბალ და საშუალო მთიანია, სიმაღლე ზღვის დონიდან 670-1600 მ-ის ფარგლებში იცვლება. მცირე მიწიანობის მიუხედავად მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ბუნებრივი პირობების მიხედვით, მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაედინება საქართველოს უმნიშვნელოვანესი მდინარე მტკვარი. მუნიციპალიტეტის ფარგლებში მტკვრის მთავარი შენაკადებია: ხეკორძულა, არაგვი და დიღმისწყალი. მცხეთის მუნიციპალიტეტის დასავლეთ საზღვართან ჩამოედინება მდინარე ქსანი. მუნიციპალიტეტში არის ტბებიც, მოიპოვება არტეზიული წყლებიც.

მცხეთის მუნიციპალიტეტი მოქცეულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში. ტყესა და ბუჩქნარს უკავია მთელი ტერიტორიის მხოლოდ 17 %. თუმცა ფლორა მრავალფეროვანია. მდიდარია მუნიციპალიტეტის ფაუნა. ფაუნის სიმდიდრეს უპირველეს ყოვლისა განაპირობებს საგურამოს ნაკრძალი, რომელიც დაარსდა 1946 წელს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2025 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგენს 50,7 ათას მაცხოვრებელს, მ.შ. 26,7 ათასი ქალი და 25.9 ათასი კაცი.

ქალაქი მცხეთა მუნიციპალური ცენტრია და მისი მოსახლეობა 7380 მაცხოვრებელია, ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 14.5%. მუნიციპალიტეტში 9900 იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს. დიდი სოფლებია წეროვანი (8,2 ათასი) და მუხრანი (6,2 ათასი).

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 29 წევრისგან. მათგან 15 არჩეულია პროპორციული, ხოლო 14 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე. საკრებულოში შექმნილია 2 ფრაქცია და 5 კომისია: სამანდატო კომისია, სოციალურ საკითხთა კომისია, საფინასო-საბიუჯეტო კომისია, ქონების მართვის კომისია, ინფრასტრუქტურის კომისია.

მცხეთის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტში შემავალი 1 ქალაქი და 63 დასახლებული პუნქტი (სოფლები: არაშენდა, აღდგომლიანთკარი, ახალდაბა, ახალი ნიჩბისი, ახალსოფელი, ახალუბანი, ბევრეთი, ბიწმენდი, ბურიანი, გალავანი, გოროვანი, ერედა, ვაზიანი, ვარდისუბანი, ზაქარო, ზემო ნიჩბისი, თეზამი, კარსანი, კევლიანი, კოტორაანთკარი, ლამი, ლელობი, ლელუბანი, ლისი, მამკოდა, მისაქციელი, მსხალდიდი, მუხათგვერდი, მუხათწყარო, მუხრანი, მშრალხევი, ნავდარაანთკარი, ნავაზი, ნატახტარი, ნაფეტვრები, პატარა ქანდა, საგურამო, სათოვლე, სასხორი, სხალტბა, ტაბარუკი, უფურუთი, ფრეზეთი, ქვემო ლისი, ქვემო ნიჩბისი, ქსანი, ქსოვრისი, შანკევანი, ჩარდახი, ციხისძირი, ცხვარიჭამია, ძალაანთხევი, ძალისი, ძეგვი, ძველი ქანდა, წეროვანი, წილკანი, წინამძღვიანთკარი, წიწამური, წოდორეთი, ჭილაანთკარი, ხეკორძი, ჯიღაურა) დაყოფილია 24 ადმინისტრაციული ერთეულად: ქალაქ

მცხეთის და სოფლების - საგურამო, მუხრანი, ვაზიანი, წეროვანი, ძალისი, წილკანი, მისაქციელი, ნატახტარი, ქსანი, ციხისძირი, აღდგომლიანთკარი, ქსოვრისი, გალავანი, ცხვარიჭამია, ძეგვი, ნიჩბისი, ლისი, ჯიღაურა, ძველი ქანდა, ნავაზი, ნავდარაანთკარი, ერედა, ჩარდახი - ადმინისტრაციული ერთეულები.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს სოფლებს: უფურეთი, ჭილაანთკარი, მუხათწყარო, ტაბარუკი, ბევრეთი, მსხალდიდი, ლელობი, ახალდაბა, შანკევანი, ცხვარიჭამია, ლელუბანი, თეზამი, კევლიანი, სათოვლე (ნაბაღრები), სხალტბა)

მცხეთის მუნიციპალიტეტის მთავარი ღირსშესანიშნაობებია: ქალაქი მუზეუმი მცხეთა - სვეტიცხოვლის და სამთავროს კომპლექსები, მცხეთის ჯვარი, ბებრისციხე, არმაზციხე, პომპეუსის ხიდი, აგრეთვე ზაჰესი, ზედაზნის კომპლექსი, ქსნის ციხე, ნასტაგისის ნამოსახლარი, შიომღვიმის კომპლექსი, ისტორიული სოფლები: დიდგორი, მუხრანი, წილკანი;

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის: საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები - თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი), მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი); შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები - ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორი-სკრა-ქარელი-ოსიაური, ნარეკვავი-მცხეთა-რკინიგზის სადგური (6.4 კმ), ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორის ს/გზის კმ 25 წინარეხი-ქვათახევი, წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამია (20.8 კმ), მცხეთა-შიომღვიმის მონასტერი (11.4), ნატახტარი-წილკანი-მუხრანი (16.1 კმ), ზაჰესი-ჯვრის მონასტერი (6,7 კმ), ნიჩბისი-დიდგორი-დიდი თონეთი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 189.6 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებია, აქ გადის ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი, და მდებარეობს ამიერკავკასიაში პირველი ჰიდროელექტროსადგური - ზაჰესი;

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საწარმო/ქარხნები: სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, შპს „ აქვა გეო“, სს „შატო მუხრანი“, შპს „ბარამბო“, სს „ლომისი“, სს „აისი“, სს „მინა“, შპს „ლოიდლი“, სს „ქართული ლუდის კომპანია“, შპს „ფაბრიკა 1900“, შპს „ფუდ ალიანსი“, შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“, შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტსი“.

მუნიციპალიტეტში მოიპოვება შემდეგი წიაღისეული: ცეოლითი, ქვიშა/ ხრეში (სოფ. ძეგვის, ციხისძირის მიდამოებში); კირქვა (სოფ. სასხორის მიდამოებში); ქვიშა (სოფ. წიწამურის, ნიჩბისის, საგურამოს მიდამოებში); სააგურე თიხა (სასხორის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე); ოქროს შემცვლელი ქვიშები (თეზამის ხეობაში მდ. ბერების ხევიდან მდ. არაგვის შესართავამდე 15 კმ. მანძილზე).

მცხეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

2025 წელს შემუშავდა 2026 - 2029 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია ;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება ;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ნაწილი I

2026-2029 წლების შემოსულობების პროგნოზი

საპროგნოზო გათვლებით 2026-2029 წლებში ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას ზრდის ტენდენცია ექნება.

2026 წლისთვის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 47 813,0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 46 613,0 ათასი ლარი იქნება, მათ შორის გადასახადები - 38 247,0 ათასი ლარი (აქედან დამატებული ღირებულების გადასახადი - 19 747,0 ათასი ლარი, ხოლო ქონების გადასახადი - 18 500,0 ათასი ლარი), სხვა შემოსავლები - 8 360,0 ათასი ლარი, გრანტები - 6,0 ათასი ლარი.

2026 წლისთვის არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები თანხების მოცულობა შეადგენს 1 200,0 ათას ლარს.

ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობები (47 813,0 ათასი ლარი) და არ არის დაგეგმილი ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.

2026-2029 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	მომუშავეთა რიცხოვნობა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
	მცხეთის მუნიციპალიტეტი	1,575.3	47,813.0	52,858.2	59,280.3	66,333.7
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	201.0	10,562.5	11,146.1	12,000.0	12,857.7
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	162.5	12,381.4	15,530.0	20,065.0	23,076.9
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	165.0	5,290.0	6,180.0	6,730.0	7,430.0
04 00	განათლება	567.3	11,055.0	11,068.0	11,095.0	11,215.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	445.5	5,214.0	5,422.0	5,662.0	7,682.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	34.0	3,310.1	3,512.1	3,728.3	4,072.1

მუნიციპალიტეტის 2024-2029 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ათასი ლარი

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
I. შემოსავლები	**59,491.7**	**51,088.8**	**46,613.0**	**52,058.2**	**58,480.3**	**65,533.7**
გადასახადები	30,611.5	32,030.9	38,247.0	43,548.2	49,810.3	56,753.7
გრანტები	16,053.2	11,627.9	6.0	-	-	-
სხვა შემოსავლები	12,827.0	7,430.0	8,360.0	8,510.0	8,670.0	8,780.0
II. ხარჯები	**38,149.9**	**48,943.6**	**42,698.0**	**46,008.2**	**49,905.3**	**52,923.7**
შრომის ანაზღაურება	5,207.9	6,352.0	7,156.0	7,729.0	8,506.0	9,282.0
საქონელი და მომსახურება	9,092.8	13,920.4	6,271.5	7,695.1	8,672.0	8,325.6
პროცენტი	24.7	8.1	-	-	-	-
სუბსიდიები	19,173.3	23,498.4	25,828.5	26,966.1	28,923.1	31,208.1
გრანტები	192.0	192.0	142.0	142.0	142.0	142.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,218.9	1,332.0	1,589.0	1,716.0	1,896.0	2,101.0
სხვა ხარჯები	3,240.3	3,640.7	1,711.0	1,760.0	1,766.2	1,865.0
III. საოპერაციო სალდო	**21,341.8**	**2,145.2**	**3,915.0**	**6,050.0**	**8,575.0**	**12,610.0**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**9,534.0**	**48,396.3**	**3,915.0**	**6,050.0**	**8,575.0**	**12,610.0**
ზრდა	32,258.7	49,396.3	5,115.0	6,850.0	9,375.0	13,410.0
კლება	22,724.7	1,000.0	1,200.0	800.0	800.0	800.0
V. მთლიანი სალდო	**11,807.8**	**- 46,251.0**	**-**	**-**	**-**	**-**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**11,682.1**	**- 46,439.6**	**-**	**-**	**-**	**-**
ზრდა	**12,810.9**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
ვალუტა და დეპოზიტები	12,810.9	-	-	-	-	-
კლება	**1,128.9**	**46,439.6**	-	**-**	**-**	**-**
ვალუტა და დეპოზიტები	1,128.9	46,439.6	-	-	-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	**- 125.7**	**- 188.6**	**-**	**-**	**-**	**-**
კლება	**125.7**	**188.6**	**-**	**-**	**-**	**-**
საშინაო	125.7	188.6	-	-	-	-
სესხები	125.7	188.6	-	-	-	-
VIII. ბალანსი	**0.0**	**0.0**	**-**	**-**	**-**	**-**

ნაწილი II

გასული 2024 წლის და მიმდინარე 2025 წლის (6 თვის მონაცემებით) ბიუჯეტის შესრულება

2024 წელი - ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 50 960,3 ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 82,216.4 ათ.ლარი, ანუ გეგმის 161% .

შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 50 030,3 ათასი ლარი, ფაქტობრივად 59 491,7 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 118,9% და მთლიანი შემოსულობების (82 216,4 ათასი ლარი) - 72,4% შეადგინა.

1. გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 30 611,5 ათასი ლარი, 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (26 336,2 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 4 275,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 17 490,9 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 12 643,3 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 1 179,7 ათასი ლარი, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადიდან - 3 663.0 ათასი ლარი.

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წლის ფაქტი - 16 137,3 ათასი ლარი) შედარებით საანგარიშო პერიოდში 1 353,6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადებზე მოდის (2023 წლის ფაქტი - 11 408,7 ათასი ლარი).

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 13 120,6 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (10 198,9 ათასი ლარი) შედარებით 2 921,7,6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

2. გრანტების სახით ჩარიცხულია - 16 053,2 ათასი ლარი, გეგმის -16 947,6 ათასი ლარის - 94,7% :

საერთაშორისო გრანტი (მთავრობის განკარგულება N621 30.04.2024წ) - უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისგან - „გოეთეს ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში“ - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს ფარგლებში გამოყოფილი გრანტი - 15,1 ათასი ლარი.

მიზნობრივი ტრანსფერი - 924,9 ათასი ლარი, მათ შორის, ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 270,3 ათასი ლარი და საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N56 15.01.24წ.) - 654,6 ათასი ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი - 12 638,1 ათასი ლარი, მათ შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის: მთავრობის განკარგულება N2402 28.12.2023 წ. - 8 111,3 ათასი ლარი და მთავრობის განკარგულება N860 14.06.2024წ. – 3 230,4 ათასი ლარი;

დაფინანსდა შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები მუნიციპალიტეტის სოფლებში: ნიჩბისი, ლისი, მისაქციელი (მე-8 და მე-11 მონაკვეთები), არაშენდა, მუხრანი (სამების სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი), წეროვანი (იგპ დასახლება), გოროვანი, წინამძღვრიანთკარი, ძველი ქანდა, საგურამო (33-ე და 36-ე ქუჩა), ახალუბანი (სასაფლაოსთან მისასვლელი გზა), ნავაზი, წილკანი (სელექციის დასახლება), წილკანი (იგპ დასახლება); სოფ. წეროვანში შიდა საუბნო გზების ასფალტ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები და სოფ. წილკნის და წეროვნის დამაკავშირებელი გზის ასფალტ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები; სოფ. წილკანში წყალმომარაგების ჭაბურღილების, რეზერვუარების და მილსადენების მოწყობის სამუშაოები. ასევე, შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა სოფლებში: მუხრანი (აზ.უბანი, არენის სასაფლაო, ჭაობის უბანი), გალავანი, ზაქარო, ჩარდახი, ძალისი (N2 გზა), წეროვანი (კვლევითი ინსტიტუტის დასახლება) .

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N2401 28.12.2023წ) - 846,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში (სოფლებში) საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად განხორციელებული მცირე - 60 ათას ლარამდე ღირებულების - სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები და მასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების: შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, მოხრეშა-მოწესრიგება, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, სკვერების, სტადიონების, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისთვის (მთავრობის განკარგულება N1025 23.07.2024წ.) - 450,4 ათასი ლარი;

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად დაფინანსდა: ქ. მცხეთაში, თეატრონის ტერიტორიაზე მიწის მოსწორება, გარე განათების ქსელის მოწყობა ქ. მცხეთაში, თეატრონის ტერიტორიაზე და სოფ. საგურამოში; გზების მოხრეშა სოფლებში: საგურამო, მუხრანი, ნატახტარი, ძეგვი, ნიჩბისი; ქ. მცხეთაში, საცხოვრებელი კორპუსების შიდა წყალარინების ქსელის სარემონტო სამუშაოები; სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია სოფ. ნატახტარში; ტუმბოების შესყიდვა სოფლებისთვის: სასხორი, ქვემო ნიჩბისი, ახალდაბა, გალავანი.

სპეციალური ტრანსფერი (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის, მთავრობის განკარგულება N2400 28.12.2023 წ.) - 2 475,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა სოფ. ბიწმენდში, ახატნის ხევის ნაპირსამაგრის მოწყობა (II ეტაპი); სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების აღსადგენად მასალების შეძენა;

3. სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 5 808,0 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 12 827,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 221%-ია, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (10 967,5 ათასი ლარი) შედარებით 1 859,6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტობრივმა მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 6 475,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 120,0 ათასი ლარი) 305,5%-ია. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 4 257,0 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

რენტის სახით მიღებულია 2 218,9 ათასი ლარი, აქედან: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 1 548,3 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 670,7 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 2 367,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 440,0 ათასი ლარი) 164,4%-ია, აქედან:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით - 2 298,1 ათასი ლარი, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი - 1 586,1 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებელი - 682,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი -29,9 ათასი ლარი.

არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვებიდან 69,0 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს შემოსავლებს მომსახურების გაწევიდან .

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 3 866,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (2 248,0 ათასი ლარი) 172%-ია , მათ შორის:

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 3 148,7 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 132,2 ათასი ლარი, შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 585,9 ათასი ლარი;

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 117,2 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 48,0 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 17,8 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 1,4 ათასი ლარი; ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 45,9 ათასი ლარი, ჯართის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი - 4,1 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 22 724,7 ათასი ლარის შემოსავალი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წლის ფაქტი - 10 400,5 ათასი ლარი) შედარებით 12 324,2 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 4 486,7 ათასი ლარი (შენობა-ნაგებობები - 4 445,8 ათასი ლარი, მანქანა-დანადგარები - 40,9 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 181,8 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 18 056,1 ათასი ლარი.

2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 36 009,4 ათას ლარს შეადგენდა, ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 11 682,1 ათასი ლარი.

2024 წელს გადასახდელების შესრულების 81,1%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელზე (75%) მეტია, ხოლო თანხობრივად, 2023 წელთან შედარებით, დახარჯულია 10 652,8 ათასი ლარით მეტი.

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 86 978,8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 70 534,3 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 81,1%. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 42 681,2 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 38 149,9 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 89,4% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 54,1%.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 44,171.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 32 258,7 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 73% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 45,7%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 125,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 125,7 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 100% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0.2%.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები მიიმართა:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 8 168,1 ათასი ლარი, გეგმის (9 535,5 ათასი ლარი) 85,7%, მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 11,6%-ს.
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 31 851,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 26 227,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 82,3%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს - 37,3%-ს.
- გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 3 826,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 439,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 89,9%; მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს - 4,9%-ს.
- საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 19 829,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 13 596,1 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 68,6%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს - 19,3%-ს.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 1 280,3 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 278,2 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 99.8%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში - 1,8%-ია.
- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 8 569,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 6 806,4 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 79,4%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში - 9,7%-ია.

◙ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 9 730,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი 9 389,2 ათასი ლარი შეადგინა, გეგმური მაჩვენებლის 96,5%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში -13,3%-ია.

◙ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 2 229,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 503,4 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 67,4%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში - 2,1%-ია.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ✓ პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 39 823,4 ათასი ლარით, გეგმის (51 680,9 ათასი ლარი) - 77%;
- ✓ პრიორიტეტი დასუფთავება და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 3 439,8 ათასი ლარით, გეგმის (3 826,6 ათასი ლარი) - 90%;
- ✓ პრიორიტეტი განათლება საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 9 389,2 ათასი ლარით, გეგმის (9 730,6 ათასი ლარი) - 96%;
- ✓ პრიორიტეტი კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 6 806,4 ათასი ლარით, გეგმის (8 569,7 ათასი ლარი) - 79%;
- ✓ პრიორიტეტი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 781,7 ათასი ლარით, გეგმის (3 509,7 ათასი ლარი) - 79%;
- ✓ პრიორიტეტი მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 8 293,8 ათასი ლარით, გეგმის (9 661,2 ათასი ლარი) - 86%.

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვეში ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 27484,9ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 51721.3 ათ.ლარი, ანუ გეგმის 188,2 % .

შემოსავლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 26 484.9 ათასი ლარი, ფაქტობრივად 32 317.7 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 122% და მთლიანი შემოსულობების (51,721.3 ათასი ლარი) - 62.5% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 22 936.0 ათასი ლარი: ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 15 588.7 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 15 209.7 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 6.7 ათასი ლარი, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადიდან - 365.2 ათასი ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 7 347.3 ათასი ლარი.

გრანტები - საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ჩარიცხულია - 2 445.2 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი - 516.5 ათასი ლარი, მათ შორის, ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 145,6 ათასი ლარი და საჯარო

სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N146 24.01.25წ.) -370,9 ათასი ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი - 1 928.7 ათასი ლარი, მათ შორის, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N1955 31.12.2024 წ.) – 1 860,7 ათასი ლარი და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან (მთავრობის განკარგულება N517 21.03.2025 წ.) - 68,0 ათასი ლარი;

სხვა შემოსავლები - საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 4 530,0 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 6 936,5 ათასი ლარი შეადგინა (გეგმის 153,1%), მათ შორის:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 3 682,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 890,0 ათასი ლარი) 240,7%-ია. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 2 888,9 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

რენტის სახით მიღებულია 793,6 ათასი ლარი, აქედან: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 703,6 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 90,0 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 866,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 010,0 ათასი ლარი) 85,8%-ია, აქედან:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით - 827,7 ათასი ლარი, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი - 450,2 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებელი - 377,4 ათასი ლარი;

არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვებიდან 38,9 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს შემოსავლებს მომსახურების გაწევიდან .

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 2 297,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (1 630,0 ათასი ლარი) 140,9%-ია , მათ შორის:

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 1 871,2 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 89,2 ათასი ლარი, შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 336,6 ათასი ლარი;

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 90,5 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 36,2 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 1,0 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 29,2 ათასი ლარი; ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 24,1 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან სულ მიღებულია 19 403,6 ათასი ლარი: 1,9 ათასი ლარი - სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 19 401,7 ათასი

ლარი, მათ შორის: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან მიღებულია 17 890,8 ათასი ლარი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან - 179,6 ათასი ლარი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 1 239,3 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 92,0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვეში ბიუჯეტის შესრულება:

◙ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 3 897,0 ათასი ლარი, გეგმის (5 060,8 ათასი ლარი) 77%, მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 13,9%-ს.

◙ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 15 193,2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 6 932,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 45,6%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 24,8%-ს.

◙ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 3 508,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 674,2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 47,7%; მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 6%-ს.

◙ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 9 361,2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 4 199,1 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 44.9%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 15%-ს.

◙ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 739,2 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 657,5 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 88.9%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 2,4%-ია.

◙ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 5 062,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 890,7 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 76.9%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 13.9%-ია.

◙ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 6 034,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5 203,0 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 86,2%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 18,6%-ია.

◙ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 1 643,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 520,1 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 92.5%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 5.4%-ია.

2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 46 790,5 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 28 162,6 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 60.2%, მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 25 503,1 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 19 270,8 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 75,6% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 68,4%.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 21 098,9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 8 703,2 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 41,2% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 37,9%.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 188,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 188,6 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 100%, მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0,7%.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გაწეულმა მთლიანი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 19 270.8 ათასი ლარი, მათ შორის:

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 3 127,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2 655,4 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 84.9%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 13.8%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 6 748,9 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 541,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 52.5%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 18.4%-ია.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 8,1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 8,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0,04%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 12 831,9 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 10 987,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 85,6%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 57%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 72,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 72,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.4%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 744,4 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 614,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 82,5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3,2%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 970,8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 391,6 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 70.6%, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 7.2%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის

კოდების მიხედვით

ათასი ლარი

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2025 წლის 6 თვის გეგმა	2025 წლის 6 თვის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულება, %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	133.5	114.7	18.8	85.9
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	17,646.7	7,421.3	10,225.4	42.1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,301.8	3.0	1,298.8	0.2
04 00	განათლება	325.1	26.4	298.7	8.1
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1,690.0	1,136.0	554.0	67.2
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1.8	1.8	-	100.0

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2025 წლის 6 თვის გეგმა	2025 წლის 6 თვის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულება, %
	არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი	**21,098.9**	**8,703.2**	**12,395.7**	**41.2**

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაფინანსებულია 11,131.5 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 24,554.4 ათასი ლარი - 45,3%) შემდეგ პროგრამებზე:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსებულია 4 228,0 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 11 892,1 ათასი ლარი- 35,6%);

წყლის სისტემების განვითარება დაფინანსებულია 1 804,2 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 2 961,5 ათასი ლარი- 60,9%);

გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ქსპლუატაცია დაფინანსებულია 768,4 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 903,8 ათასი ლარი- 85%);

მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - გეგმა 756,6 ათასი ლარი, დაფინანსებულია 29,3 ათასი ლარით (4%).

სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება - დაფინანსებულია 1 710,5 ათასი ლარით, გეგმის - 1 930,5 ათასი ლარი - 83,7%.

კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 1 011,7 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 1 703,4 ათასი ლარი- 59,4%);

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსებულია 437,0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 143,6 ათასი ლარი), გეგმის -1 936,9 ათასი ლარი - 22,6%.

მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება - დაფინანსებულია 208,3 ათასი ლარით, გეგმის - 753,5 ათასი ლარი - 27,7 %.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება - დაფინანსებულია 557,5 ათასი ლარით (მათ შორის, სპეციალური ტრანსფერი 450,0 ათასი ლარი), გეგმის - 918,5 ათასი ლარი - 60.7%.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა - დაფინანსებულია 376,5 ათასი ლარით (მ.შ. ტრანსფერი 138,3 ათასი ლარი), გეგმის - 506,5 ათასი ლარი - 74,3%.

დასუფთავება და გარემოს დაცვა დაფინანსებულია 1 674.2 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 3 508.1 ათასი ლარი- 47.7%) ;

განათლება დაფინანსებულია 5 203,0 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 6 034,1 ათასი ლარი - 86,2%);

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი დაფინანსებულია 3 890,7 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 5 062,0 ათასი ლარი - 76,9%);

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 2 177,6 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 2 382,6 ათასი ლარი - 94.4%);

თავი III. მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში, მათი აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	12,381.4	15,530.0	20,065.0	23,076.9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,300.0	3,700.0	5,300.0	5,571.9
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	-	800.0	1,600.0	1,071.9
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	1,900.0	2,000.0	2,500.0	3,000.0
02 01 03	გზების კეთილმოწყობა	400.0	900.0	1,200.0	1,500.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	3,881.4	4,200.0	4,690.0	4,710.0
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	1,371.4	1,400.0	1,450.0	1,500.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	2,385.0	2,660.0	3,100.0	3,070.0
02 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	125.0	140.0	140.0	140.0
02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1,915.0	2,020.0	2,050.0	2,150.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	1,915.0	2,020.0	2,050.0	2,150.0
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	1,300.0	1,350.0	1,350.0	1,400.0
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	615.0	670.0	700.0	750.0
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	100.0	100.0	100.0	100.0

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
02 05	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	1,700.0	2,200.0	3,210.0	4,500.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	945.0	1,550.0	2,325.0	2,625.0
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები)	300.0	790.0	1,545.0	1,830.0
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	145.0	160.0	180.0	195.0
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	500.0	600.0	600.0	600.0
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	100.0	120.0	120.0	120.0
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	1,240.0	1,340.0	1,420.0	1,520.0
02 11	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა	200.0	300.0	300.0	670.0
02 12	სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	-	-	550.0	1,110.0

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; ავტოტრანსპორტისა და ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;	
ქვეპროგრამის აღწერა	საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური მშენებლობა-რეაბილიტაციის პარალელურად საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეგულარული და სისტემატური მოვლა-პატრონობის ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის და ვარგის მდგომარეობაში შესანარჩუნებლად. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარიანი გზების დაზიანებული მონაკვეთების სარემონტო სამუშაოები.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებული გზების რაოდენობა, გზების ტექნიკური პარამეტრების (სიმტკიცე, სისწორე, ცვეთა, ხორკლიანობა, სანიაღვრეები) 95%-მდე დაკმაყოფილება.	

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა,ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
02 01 02	**გზების კაპიტალური შეკეთება**	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა (ბავშვების, ქალების, შშმ პირების, მოხუცების და სხვა) უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება;	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება. 2026 წელს დაგეგმილია შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის სოფლებში: ზაქარო, მსხალდიდი (მე-7 ქუჩა), საგურამო (მე-19 ქუჩა), ძალისი (24-ე ქუჩა), ჯიღაურა, ნავაზი, კარსანი და სხვა;	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაიზრდება გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურის არეალი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;	

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
02 01 03	**გზების კეთილმოწყობა**	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში ტროტუარების, ბორდიურების მოწყობა, გზების მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება, საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაცია, ვიდეო - სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი;	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე ჰორიზონტალური მონიშვნის და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები, გზებზე ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების შეძენა/მონტაჟი; ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი საშუალებების მოწყობა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტებთან; შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირება. 2026 წელს დაფინანსდება ქ. მცხეთაში, კალოუბნის ქუჩის ბოლოში არსებულ ტერასაზე განვითარებული მეწყერული პროცესების შეჩერების და პრევენციული დამცავი ღონისძიებების გატარების მიზნით საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სხვა;	

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა; უზრუნველყოფილია ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა (ბავშვების, ქალების, შშმ პირების, მოხუცების და სხვა) უსაფრთხო გადაადგილება;
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
02 02 01	**სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა**	**წყლის სისტემების განვითარება**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანია“	
ქვეპროგრამის მიზანი	მცხეთის მუნიციპალიტეტის 62 სოფელში (12500 მომხმარებელი) ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული წყალსადენების რეგულარული მომსახურება, წყლის რეზერვუარების დაქლორვა-გარეცხვა, მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა, ამორტიზებული, დაზიანებული ტუმბოების და ჩამკეტ-მარეგულირებელი მოწყობილობების შეკეთება; ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანიის“ დაფინანსება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა კომპანიას წყალმომარაგების ქსელის ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების დასაფინანსებლად.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში დროულადაა აღმოფხვრილი წყალმომარაგების ქსელში დაზიანებები და უზრუნველყოფილია სუფთა სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება; მუნიციპალიტეტის სოფლებში შენარჩუნებულია წყალმომარაგების გამართული ქსელი;	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
02 02 02	**სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია**	**წყლის სისტემების განვითარება**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირება	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალური რეაბილიტაცია, საჭიროების შემთხვევაში წყალმომარაგების ახალი ქსელის მოწყობა. 2026 წელს დაფინანსდება წყლის სისტემების რეაბილიტაცია სოფლებში: არაშენდა,	

	ახალუბანი და სხვა;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას შეუფერხებლად მიეწოდება სასმელი წყალი; მუნიციპალიტეტის სოფლებში შენარჩუნებულია წყალმომარაგების გამართული ქსელი.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
02 02 03	**საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**	**წყლის სისტემების განვითარება**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;
ქვეპროგრამის მიზანი	საკანალიზაციო სისტემის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემის ექსპლუატაციის მიზნით განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა მუნიციპალიტეტის სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი და ქალაქ მცხეთაში, არმაზის დასახლებაში.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია საკანალიზაციო სისტემის გამართული ინფრასტრუქტურა

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
02 03 01 01	**გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება**	**გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის მიზანი	გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის აღწერა	განხორციელდება ქალაქ მცხეთაში და მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული გარე განათების ქსელის (14977 წერტილი) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება, ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარე განათების ენერგოეფექტურობის საკითხს, რაც აისახება გარე განათების მოვლა-პატრონობის ხარჯების შემცირებაზე.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია გარე განათების გამართული ინფრასტრუქტურა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია; მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები ;

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
02 03 01 02	**გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა**	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“	
ქვეპროგრამის მიზანი	გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის სამუშაოები, რაც გულისხმობს გადამწვარი ნათურების, დიოდური პროჟექტორების, ეკო სანათების, დიოდური სანათების, დროსელის და სხვა მწყობრიდან გამოსული ელექტრო მოწყობილობების შეცვლას.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მთელი წლის მანძილზე, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, გამართულია გარე განათების ინფრასტრუქტურა, პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები დროულადაა აღმოფხვრილი.	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

პროგრამული კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**
02 04	**მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია**	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის და ვიზიტორებისთვის სუფთა კომფორტული მიმზიდველი გარემოს შექმნა	
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების უსაფრთხო და გამართული ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად, გარკვეული პერიოდულობით მცირე კაპიტალური, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება; განხორციელდება ადმინისტრაციული შენობის მოვლა-პატრონობა;	
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ხელმისაწვდომი და ეფექტურად განხორციელებული მუნიციპალური სერვისები; გაუმჯობესებულია ზედამხედველობა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე;	

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

პროგრამული კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**
02 05	**სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება**	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
პროგრამის განმახორციელებელი	შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანია“	
პროგრამის მიზანი	მოსახლეობის შიდა და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით უზრუნველყოფა.	
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანიის“ დაფინანსება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა კომპანიას, საიდანაც ხორციელდება სატრანსპორტო სერვისის ხარჯების დაფინანსება, სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ხელფასებს, საწვავს და რემონტს.	
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
02 06 01	**საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები)**	**კეთილმოწყობის ღონისძიებები**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	სარეკრეაციო და გამწვანებული სივრცეების გაფართოება	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი სარეკრეაციო დასასვენებელი პარკების და სკვერების მოწყობა, არსებულის აღდგენა-რეაბილიტაცია, სკვერებში არსებული სასმელი წყლის და შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსება.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აღდგენილი, გაუმჯობესებული და ახლად მოწყობილი სარეკრეაციო სივრცეები; ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა.	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 9** - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; **მიზანი 11** - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	კეთილმოწყობის ღონისძიებები
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის და ქალაქის ვიზიტორებისთვის სუფთა, კომფორტული, მიმზიდველი გარემოს შექმნა;	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ბორდიურების და კედლების სარემონტო სამუშაოები, განათების ბოძების და მოაჯირების შეღებვა, ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონების და სკამების შეკეთება. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მიმდინარე მოვლა–პატრონობისა ღონისძიებები ხორციელდება შეუფერხებლად; გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის იერსახე და მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობები.	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია; მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	კეთილმოწყობის ღონისძიებები
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	სადღესასწაულო დღეებში ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა.	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში სათანადო ყურადღება ეთმობა ქალაქის სადღესასწაულო გაფორმებებს, რადგან აუცილებელია შეიქმნას სადღესასწაულო განწყობა ადგილობრივი მოსახლეობის და ქალაქის სტუმრებისთვის. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საახალწლო დეკორაციების და მასალების შეძენა, საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი/ექსპლუატაცია/დემონტაჟი და სხვა სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ტექნიკურად უზრუნველყოფილია სადღესასწაულო ღონისძიებები.	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;	

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა

02 08	**სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია**	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის სოფლებში სარწყავი და სანიაღვრე არხების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობა, კოლექტორების და მილგაყვანილობის რეაბილიტაცია ჩამდინარე წყლის (წვიმის ან სხვა სახის ჩამდინარე წყლის) წარმოშობის ადგილიდან ზედაპირული წყლების ადგილამდე გასატანად, ასევე, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია და გაწმენდა. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის სოფლებში სარწყავი და სანიაღვრე არხების გაწმენდა;	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია სარწყავი და სანიაღვრე არხების გამართული ფუნქციონირება	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;	

პროგრამული კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**
02 09	**მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება**	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;	
პროგრამის მიზანი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და შესაბამისი დასკვნების მომზადება.	
პროგრამის აღწერა	განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო–სამონტაჟო და აღდგენა–რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო–საძიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება, დამუშავებული პროექტების ექსპერტიზა.	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დროულად და კვალიფიციურად არის მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია; ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით უზრუნველყოფილია შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს).	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები; მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები	

პროგრამული	**პროგრამის დასახელება**	**პრიორიტეტის დასახელება,**

კოდი		**რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**
02 11	**ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა**	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;	
პროგრამის მიზანი	მოქალაქეთა ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში	
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილების და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისთვის. მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ, განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები.	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და წარმოდგენილი ინიციატივების შესაბამისად მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა; გათვალისწინებულია მოსახლეობის აზრი საკუთარი დასახლების პრობლემების გადაწყვეტაში;	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები; მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები	

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი** 02 11	**ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;	
ქვეპროგრამის მიზანი	მოქალაქეთა ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილების და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისთვის. მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ, განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები.	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და წარმოდგენილი ინიციატივების შესაბამისად მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა; გათვალისწინებულია მოსახლეობის აზრი საკუთარი დასახლების პრობლემების გადაწყვეტაში;	

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი** 02 12	**სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და ინფრასტრუქტურის მოვლა	

ქვეპროგრამის აღწერა	განხორციელდება სპეციალიზირებული ტექნიკის შეძენა: ნაგავშემკრები, მარილმომყრელი, ელექტროსატვირთო, თვითმცლელი და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი, დასუფთავებული ტერიტორია და ინფრასტრუქტურა

დასუფთავება და გარემოს დაცვა (03 00)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	5,290.0	6,180.0	6,730.0	7,430.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	4,750.0	5,600.0	6,100.0	6,750.0
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	460.0	500.0	550.0	600.0
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	460.0	500.0	550.0	600.0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	80.0	80.0	80.0	80.0

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დასუფთავება და გარემოს დაცვა
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“	
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა	

პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსტში. მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცალკეული ტერიტორიის მწვანე საფარის, ქუჩების, გზების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა 45 კმ-ზე კასპის ნაგავსაყრელზე, სანაგვე კონტეინერების მოვლა-პატრონობა, გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება; ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის დროს ნიაღვრისგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან. მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება (კონტეინერების შეძენა) მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ზრუნვა. პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები მოიცავს ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ადმინისტრაციულ ხარჯებს.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია ეკოლოგიურად სუფთა გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	**მიზანი 9** - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; **მიზანი 12** - მდგრადი მოხმარება და წარმოება ;

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	**მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა.	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. ქვეპროგრამის ფარგლებში სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით დეკორატიულად იქნება გაფორმებული მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორია. მუნიციპალიტეტში მწვანე საფარის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად სისტემატურად იქნება ჩატარებული სხვადასხვა სახის სამუშაოები: მწვანე საფარის მოთიბვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვლა, გადამხმარი და დაზიანებული ხე-მცენარეების ამოძირკვა და გატანა, ხე-მცენარეების გადაბელვა, ხე-მცენარეების შეხვევა/გახსნა სეზონურად, მწვანე ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამლა, საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა, გათოხნა-გაფხვიერება, სეზონური მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა და ამოღება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა-გამოხილვა;	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.	

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	**მიზანი 13** - კლიმატის ცვლილებების საწინააღმდეგო ქმედებები; **მიზანი 15** - დედამიწის ეკოსისტემები

პროგრამული კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**
03 04	**უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები**	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური	
პროგრამის მიზანი	უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლები მოვლა-პატრონობა და პოპულაციის რეგულირება	
პროგრამის აღწერა	განხორციელდება უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები: მათი ჰუმანური წესით დაჭერა, დეჰელმენტიზაცია, სტერილიზაცია, ანტირაბიული და კომპლექსური ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია საერთაშორისოდ აღიარებული (TVNR) მეთოდოლოგიით და შესაბამის ადგილებში გადაყვანა-გაშვება ან იზოლაცია; მოსახლეობის შეტყობინებაზე დროული და ეფექტური რეაგირება;	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განხორციელებულია უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები	

განათლება (04 00)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება**	**2026 წლის პროექტი**	**2027 წლის პროგნოზი**	**2028 წლის პროგნოზი**	**2029 წლის პროგნოზი**
04 00	**განათლება**	**11,055.0**	**11,068.0**	**11,095.0**	**11,215.0**
04 01	**სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა**	**11,000.0**	**11,008.0**	**11,030.0**	**11,150.0**
04 04	**ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა**	**55.0**	**60.0**	**65.0**	**65.0**

პროგრამული კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**
04 01	**სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა**	**განათლება**
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“	

პროგრამის მიზანი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფას
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში იგეგმება სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამის/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა, ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა. ასევე, სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ბავშვების წაყვანას ყოველდღიურად ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საბავშვო ბაღი, ახლოს მდებარე საბავშვო ბაღში და მათი უკან, სახლში დაბრუნება.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის ფუნქციების განხორციელება, არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების შეუფერხებელი ფუნქციონირება; ტრანსპორტით უზრუნველყოფილი სკოლამდელი ასაკის ბავშვები;
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება; მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;

პროგრამული კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**
04 04	**ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა**	**განათლება**
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური	
პროგრამის მიზანი	საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის მაღალი აკადემიური მოსწრების სტიმულირება; საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა;	
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. განათლება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია უწყვეტი სწავლის სისტემის განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა. იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს სკოლის მოსწავლეების სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. სწავლის მოტივაცია კი წარმატების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს, იმოქმედოს, ისწავლოს, მიაღწიოს უფრო მაღალ შედეგს. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებულ მოსწავლეებს წაახალისებს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობის ფულადი ჯილდოთი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით.	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ტრანსპორტით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლის მოსწავლეები; საჯარო სკოლების მოსწავლეების მაღალი აკადემიური მოსწრება;	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (05 00)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	5,214.0	5,422.0	5,662.0	7,682.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2,554.0	2,740.0	2,930.0	4,870.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2,554.0	2,740.0	2,930.0	3,070.0
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	500.0	540.0	580.0	620.0
05 01 01 02	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	447.0	470.0	510.0	560.0
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	835.0	910.0	980.0	980.0
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	422.0	470.0	510.0	560.0
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	250.0	250.0	250.0	250.0
05 01 01 06	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	100.0	100.0	100.0	100.0
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	-	-	-	1,800.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,660.0	2,682.0	2,732.0	2,812.0
05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა	2,242.0	2,242.0	2,292.0	2,342.0
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	2,200.0	2,200.0	2,250.0	2,300.0
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	42.0	42.0	42.0	42.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	20.0	20.0	20.0	20.0
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	398.0	420.0	420.0	450.0

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	სპორტის სფეროს განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“
ქვეპროგრამის მიზანი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ ბაზაზე მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარება. სკოლაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 19 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი), სადაც ჩარიცხულია 380 ბავშვი. საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს 9 სოფელში და ქ. მცხეთაში. 6 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას იღებს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში. დანარჩენი 14 ჯგუფი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ პირველობაზე 3 ასაკობრივ კატეგორიაში
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია ფეხბურთში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა, გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
05 01 01 02	**კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა**	**სპორტის სფეროს განვითარება**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია“	
ქვეპროგრამის მიზანი	წლის ნებისმიერ პერიოდში აკადემიის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი ჩემპიონატებისთვის; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, მათი მეთოდური აღზრდა-დაოსტატება.	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობის (აკადემიური, კანოე, ბაიდარა) განვითარება. აკადემიაში ამ ეტაპზე 13 ჯგუფია, ნიჩბოსნობას ეუფლება 110 სპორტსმენი. ქვეპროგრამის ფარგლებში ეწყობა ტურნირები, მათ შორის „მცხეთობა-სვეტიცხოვლობის“ დღესასწაულთან დაკავშირებული ტრადიციული ტურნირი. აკადემიის სპორტსმენები მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქვეყნის გარეთ.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობაში ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართულობა; გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები; წარმატებული გამოსვლა ეროვნულ ჩემპიონატებში და საერთაშორისო შეჯიბრებებში	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**

05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	სპორტის სფეროს განვითარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა"	
ქვეპროგრამის მიზანი	ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასწავლო -საწვრთნელი საქმიანობა ორ ეტაპად: დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო. სკოლაში მოქმედებს სამი ასაკობრივი ჯგუფი: 6-დან 18 წლამდე (ჭაბუკები), 18-დან 20 წლამდე (ახალგაზრდები) და 20-დან 23 წლის ჩათვლით (კადეტები). ირიცხება 596 მოსწავლე (მათ შორის 18 გოგონა). სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	სპორტის სფეროს განვითარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა"	
ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების - ჭადრაკის, კარატეს, ტაეკვანდოს, ველოსპორტის, კალათბურთის, ფრენბურთის, კრივის - პოპულარიზაცია; მასობრივი სპორტის სახეობების განვითარება;	
ქვეპროგრამის აღწერა	სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 17 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი (კარატეს - 5, ველოსპორტის - 4, კრივის - 2, კალათბურთის - 2, ფრენბურთის - 1, ტაეკვანდოს - 1, შერეული ორთაბრძოლების - 1, ჭადრაკის - 1) კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით, სადაც მეცადინეობს 311 მოსწავლე (192 ვაჟი, 118 გოგონა).	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აქტიური ჩართვა ფიზკულტურასა და სპორტში; გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	სპორტის სფეროს განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი"
ქვეპროგრამის მიზანი	კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სივრცის მაქსიმალურად ათვისება და ამ მიზნით სხვადასხვა სახეობის სივრცეების მოწყობა, რათა მთლიანობაში კომპლექსი გამოყენებულ იქნეს, როგორც ცურვის შესასწავლად, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი თვალსაზრისით.
ქვეპროგრამის აღწერა	კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სივრცის მაქსიმალურად ათვისება და ამ მიზნით სხვადასხვა სახეობის სივრცეების მოწყობა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, საცურაო აუზების შესაბამისი ექსპლუატაცია, რათა საცურაო აუზები გამოყენებულ იქნეს, როგორც ცურვის შესასწავლად, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი თვალსაზრისით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
05 01 01 06	**რაგბის განვითარების ხელშეწყობა**	**სპორტის სფეროს განვითარება**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი „ყაზბეგი"	
ქვეპროგრამის მიზანი	რაგბის პოპულარიზაცია და განვითარება რეგიონში;	
ქვეპროგრამის აღწერა	მცხეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 4 სარაგბო წრე (სოფ. საგურამოში - 2, სოფ. წეროვანში - 2), სადაც 5 სერტიფიცირებული მწვრთნელის მეთვალყურეობით სხვადასხვა ასაკის 100-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს.გამოყოფილია სავარჯიშო მოედნები, შეძენილ იქნა სავარჯიშო და სათამაშო ინვენტარი;	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სარაგბო სპორტის განვითარების ხელშეწყობა;	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

ქვეპროგრამის დასახელება	**კოდი**	**სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა**
	05 01 02	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;	

ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია , მასობრივი სპორტის განვითარების და ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდა, საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა.
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტის სხვადასხვა სახეობებში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. სპორტის პოპულარიზაცია.

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	კულტურის სფეროს განვითარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“	
ქვეპროგრამის მიზანი	კულტურული მრავალფეროვნების წახალისება, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ემსახურება კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს და მათ დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებების ხელშეწყობა-განვითარებას, რომელიც მოიცავს საფინანსო-საორგანიზაციო დაგეგმარებით საკუთარი შემოსავლების ზრდას. აღნიშნული მოხმარდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, თანამედროვე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებას. ფინანსური და სასწავლო პროგრამული რესურსი თანაბრად განაწილდება ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი"-ს ყველა სტრუქტურულ ერთეულზე. განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გაიზრდება მოსწავლე-ახალგაზრდების კონტინგენტი, კულტურათშორისი დიალოგი მუნიციპალიტეტებს შორის, განმტკიცდება საერთაშორისო კავშირები (ფესტივალი, კონკურსი, კონცერტი, გაცვლითი პროგრამები, ფლეშ მობები და სხვა) - რაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით არამარტო კულტურისა და ხელოვნების განვითარების, არამედ ტურიზმის, ეკონომიკის და სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობაა. ქვეპროგრამა ხელს უწყობს კულტურული ცენტრებში ქალების/გოგონებისა და კაცების/ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირება; მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. წახალისებული კულტურული მრავალფეროვნება უზრუნველყოფილია მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა;	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება;

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	კულტურის სფეროს განვითარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუზეუმების ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის მიზანი	სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს ფუნქციონირების ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის აღწერა	სახლ-მუზეუმის კომპლექსი მოიცავს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის საცხოვრებელ სახლს დამხმარე ნაგებობებით და ჭავჭავაძისეულ მამულს ბაღ-ვენახით. მუზეუმის სტაციონარულ ექსპოზიციაში წარმოდგენილია მწერლის მემორიალური ნივთები, მე-19 საუკუნის ქართული კულტურის წარმომადგენელთა ფოტოპორტრეტები და ეპოქის ყოფის ამსახველი ფოტომასალები, მწერლის ხელნაწერები, მისივე გამოცემული პერიოდიკის ნიმუშები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს კომუნალური ხარჯების დაფინანსება	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს ფუნქციონირება	

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	კულტურის სფეროს განვითარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა. დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კეთილმოწყობილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიები;	

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	კულტურის სფეროს განვითარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"	
ქვეპროგრამის	მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია;	

მიზანი	ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობაში ჩართულობა; მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ასევე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვა და მათი მოვლა-პატრონობისა და დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა - განხორციელება; ტურიზმისა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური პრიორიტეტებისა და სტრატეგიების შემუშავება. ზედაპირული არქეოლოგიური კვლევით არტეფაქტების გამოვლენა-შენარჩუნება; ტექნიკური და ინსტიტუციური ღონისძიებებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ვიზიტორთათვის მეტი სარგებლიანობის და ცენტრის შესაბამისი საორგანიზაციო ხარჯების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შესწავლა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ობიექტების ფიქსაცია. კულტურულის მემკვიდრეობის ჯეროვანი წარმოჩინებით ახალი ტურისტული მარშრუტების ორგანიზება, რაც გაზრდის ვიზიტორთა რაოდენობას და შესაბამისად, ფინანსურ შემოდინებასაც.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,310.1	3,512.1	3,728.3	4,072.1
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,603.0	1,730.0	1,850.0	2,030.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	453.0	480.0	500.0	530.0
06 01 02	მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება	1,150.0	1,250.0	1,350.0	1,500.0
06 02	სოციალური დაცვა	1,707.1	1,782.1	1,878.3	2,042.1
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1,274.0	1,344.0	1,425.2	1,574.0
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	100.0	100.0	100.0	100.0
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	4.0	4.0	4.0	4.0
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	65.0	70.0	70.0	75.0

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	94.1	94.1	94.1	94.1
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	164.0	170.0	185.0	195.0
06 02 07	პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა	6.0	-	-	-

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	ჯანმრთელობის დაცვა
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“	
ქვეპროგრამის მიზანი	სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის კონტროლი; ცნობიერების ამაღლება და სამიზნე პოპულაციაში ადრეული ავადობის გამოვლენა, გეგმიური იმუნიზაციის დროული მართვა და უსაფრთხო გარემოს შექმნა	
ქვეპროგრამის აღწერა	სამოქმედო ტერიტორიაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად; სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, სამოქმედო ტერიტორიაზე ვაქცინების, შრატების და ასაცრელი მასალების გადაცემა და მართვა ლოჯისტიკის მოდულით, 5-10 წლამდე ბავშვების კვლევა ჰელმითებზე და სამკურნალო პრეპარატებით უზრუნველყოფა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის მეთვალყურეობა და ტესტ-სისტემებით სკრინინგი, ც ჰეპატიტის და შიდსის სკრინინგული კვლევა და დადებითი სტატუსის მქონე პირების მიდევნება; კოღოებით, ტკიპებით, ფლებოტომუსებით და სხვა ვექტორებით გადაცემადი პარაზიტული ინფექციების გადამტანი მწერების კერებში პროფილაქტიკური დეზინსექცია.	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ეპიდსიტუაციის მართვა, სკრინინგული კვლევებით გამოვლენილი დადებითი შემთხვევების მკურნალობის ეფექტურობის ამაღლება, სამოქმედო ტერიტორიაზე უსაფრთხო გარემოს შექმნა	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა; მიზანი 6 - წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა;	

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 01 02	მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება	ჯანმრთელობის დაცვა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	ხელმისაწვდომი ჯანდაცვა	

ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა რეგისტრაციის მისამართიც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით არის მცხეთის მუნიციპალიტეტი და არ ფინანსდება სხვა მუნიციპალიტეტის მიერ) სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების იმ წილის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვევო პროგრამებით. ა) დაფინანსების ზედა ზღვარი შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს დარჩენილი აქვს 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე, ხოლო 5000 (ხუთი ათასი) და მეტის შემთხვევაში - 3000 (სამი ათასი) ლარს, გარდა იმ საგამონაკლისო ჯგუფებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამით. ბ) 501 ლარამდე გადაწყვეტილებას იღებს კომისია; გ) 501 ლარიდან 3000 ლარამდე დაფინანსებაზე თანხმობის მისაღებად, კომისიის და/ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობის გათვალისწინებით, კომისია მიმართავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს. დ) 151 ლარამდე ღირებულების სამედიცინო მომსახურება არ ფინანსდება, (გარდა პრიორიტეტული ჯგუფებისა); სამედიცინო მომსახურების 100%-მდე (3000 ლარამდე) დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია. წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურებისთვის ბენეფიციარზე გაცემული თანხის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 (ოთხი ათასი) ლარს. ● **აუტისტური სპექტრის, მძიმე და ღრმა** გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირების დახმარება კონკრეტული საჭიროების შესახებ წარმოდგენილი კალკულაციის მიხედვით (კონკრეტული ფსიქოთერაპია, ქცევითი თერაპია, მეტყველების თერაპია); პროგრამით მოსარგებლე პირზე დახმარება გაიცემა წელიწადში არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ლარისა; ● **ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის** საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება - დაფინანსებას მიიღებს 18 წლამდე ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვი (საჭიროების შემთხვევაში ოჯახთან ერთად) შესაბამისი დაწესებულებიდან წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის ან/და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამის კრიტერიუმებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეები უზრუნველყოფილნი არიან სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა მიზანი 10 -შემცირებული უთანასწორობა;

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
06 02 01	**ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა**	**სოციალური დაცვა**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის უზრუნველყოფა ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით;	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში, მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის შესაბამისად, გათვალისწინებულია მცხეთის	

	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა რეგისტრაციის მისამართიც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით არის მცხეთის მუნიციპალიტეტი და არ ფინანსდება სხვა მუნიციპალიტეტის მიერ) დახმარება, კერძოდ: ● ჟანგბადის აპარატით მოსარგებლე პირების დახმარება - პროგრამით მოსარგებლე პირს საკრებულოს თანხმობით დროებით სარგებლობაში გადაეცემა ჟანგბადის აპარატი კანონით დადგენილი წესით. ● ცელიაკიის და ცისტური ფიბროზის მქონე პირების ფინანსური დახმარება - დახმარება გაეწევათ მოქალაქეებს, რომელთაც შესაბამისი დოკუმენტაციით დადგენილი აქვთ ცელიაკიის დაავადება, დახმარება გაიცემა კვარტალში ერთხელ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; ● მესამე და მეტ შვილზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება - პროგრამით მოსარგებლე პირი არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომელსაც შეეძინა მესამე და მეტი შვილი. დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის და კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე პროგრამით მოსარგებლე პირს ერთჯერადი ფინანსური დახმარება გადაეცემა შემდეგი ოდენობით: ა) მესამე შვილის შეძენის გამო - 300 (სამასი) ლარის ოდენობით; ბ) მეოთხე შვილის შეძენის გამო - 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით; გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენის გამო - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; დ) ტყუპების (მესამე-მეოთხე და მეტი) შეძენის შემთხვევაში - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. ● დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე პირების ფინანსური დახმარება, რომელიც გაიცემა კონკრეტული საჭიროების შესახებ წარმოდგენილი კალკულაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სპეციალიზებულ დაწესებულებას (ე.წ. დღის ცენტრი) შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ასევე, დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი პირების საკურორტო დახმარება; ● ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება - დახმარება გაეწევათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრით და ხანძრით გამოწვეული შედეგებით დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერადად 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარამდე, ხოლო საცხოვრებელი სახლის დანგრევის ან მთლიანად განადგურების შემთხვევაში მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისიის წარდგინებით, საკრებულოს თანხმობის საფუძველზე შესაძლებელია დახმარების სახით გაიცეს არაუმეტეს 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარისა. ● ხანძრის და სხვა უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული და თავშესაფრის არმქონე პირების ქირით უზრუნველყოფა - ქირის საფასურის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 400 (ოთხასი) ლარით და პროგრამით მოსარგებლე პირს (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქე) დაუფინანსდება კომისიის მიერ დადგენილი ვადით, არაუმეტეს 6 თვისა. ● მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით აუნაზღაურდებათ იმ პირებს, რომლებიც გაიღებენ უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯებს. ● შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა - დახმარება გაიცემა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ, 150 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე, წელიწადში ერთხელ 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ● 18 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებული პირების საკურორტო დახმარება, რომლის ფარგლებშიც მოსარგებლეები თავად ირჩევენ

	მომსახურების მიმწოდებელს; ერთ ბენეფიციარზე საკურორტო დახმარება გაიცემა წელიწადში არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. ● საშენი მასალებით დახმარება - დახმარება გაეწევათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახებს, რომელთაც მძიმე გარემოებათა გამო (გარდა ხანძარი, სტიქია) არ გააჩნიათ საშუალება, შეიძინონ საშენი მასალები. ● დღის ცენტრით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა. ● სასურსათო კალათით დახმარება დღესასწაულებთან დაკავშირებით - დახმარება გაეწევათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ გაჭირვებულ პირებს; ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ერთობლივი პროექტის „გაძლიერებული ადგილობრივი თემების ახალგაზრდები კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის მცხეთის მუნიციპალიტეტში“ დაფინანსება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფინანსური დახმარებებით და სოციალური სერვისებით უზრუნველყოფილი სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 10 -შემცირებული უთანასწორობა;

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	სოციალური დაცვა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	**მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური**	
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება; გაჭირვებული მოქალაქეების ფინანსური და მორალური მხარდაჭერა;	
ქვეპროგრამის აღწერა	• წელიწადში ერთხელ, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ პირებზე, რომლებიც უმუშევრობის, დაბალშემოსავლიანობის, მძიმე ავადმყოფობის, უსახლკარობის, მარტოხელა მოხუცებულობის ან სხვა მიზეზთა გამო დადგენილი წესით მიმართავენ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას. • ასი და მეტი წლის ასაკის უხუცესი პირების ერთჯერადი დახმარება - გაიცემა მცხეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეებზე, რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი; ერთჯერადი დახმარების ოდენობა არის 1000 (ერთი ათასი) ლარი;	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფინანსური დახმარებებით უზრუნველყოფილი სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 10 -შემცირებული უთანასწორობა;	

პროგრამული	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის**

კოდი		**ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	სოციალური დაცვა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	ომის ვეტერანთა მორალური და მატერიალური მხარდაჭერა, ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება.	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა: ● 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანებზე - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; ● სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ვეტერანებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს - 200 (ორასი) ლარის ოდენობით; ● სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურებისათვის, გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრზე – 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მორალური და მატერიალური მხარდაჭერით უზრუნველყოფილი ომის ვეტერანები	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა; მიზანი 10 -შემცირებული უთანასწორობა;	

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
06 02 04	**დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება**	**სოციალური დაცვა**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პაციენტთა ფინანსური დახმარება	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ფინანსურ ხელშეწყობას თირკმლის პათოლოგიის მქონე შშმ პირებზე, რომლებსაც ესაჭიროებათ მინიმუმ 12 პროცედურა თვის განმავლობაში, შესაბამისი ტრანსპორტირებით. ქვეპროგრამის ფარგლებში დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებს გაეწევათ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით;	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მატერიალური მხარდაჭერით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები	

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა მიზანი 10 -შემცირებული უთანასწორობა;

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
06 02 05	**ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა**	**სოციალური დაცვა**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება" სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	საელჩოების, საერთაშორისო სხვა დონორი ორგანიზაციებისაგან ინვესტიციების, დახმარებებისა და გრანტების მოზიდვა	
ქვეპროგრამის აღწერა	საელჩოების, საერთაშორისო და სხვა დონორი ორგანიზაციებისათვის საინვესტიციო პროექტებისა და საგრანტო განაცხადების მომზადება და წარდგენა	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაზრდილი რაოდენობით ჰუმანიტარული დახმარებების მიღება და შშმ პირების, იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის განაწილება	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა;

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
06 02 06	**მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება**	**სოციალური დაცვა**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის"	
ქვეპროგრამის მიზანი	უკიდურესად გაჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება.	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მზრუნველობამოკლებულ პირთა დღეში ერთჯერადი კვება სასადილოში.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი მოქალაქეების და შშმ პირთა ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა მომართვიანობის ლიმიტის ფარგლებში და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა; მიზანი 10 -შემცირებული უთანასწორობა;

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**
06 02 07	**პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა**	**სოციალური დაცვა**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური
ქვეპროგრამის მიზანი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა პერსონალური ასისტირების საშუალებით
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ამოცანაა ამ პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში. პროგრამით დადგენილი მომსახურების მიმღები პირები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 წელზე უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომელთაც სამინისტროს მიერ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე განესაზღვრათ პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი. მცხეთის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის მიხედვით, მომსახურების მიმღები პირისთვის მისი სურვილისა და საჭიროების გათვალისწინებით, პერსონალური ასისტენტის მომსახურება დაფინანსდება: ა) რეგულარული ასისტირებისთვის - არაუმეტეს თვეში 60 საათი; ბ) სპეციალიზებული ასისტირებისთვის - არაუმეტეს თვეში 120 საათი. რეგულარული ასისტირებისთვის დაფინანსების ოდენობა (ტარიფი) არის საათში 12 ლარი, ხოლო სპეციალიზებული ასისტირებისთვის - საათში 13 ლარი;
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შშმ პირთათვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდებით მისი ფსიქო-სოციალური განვითარების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 10 -შემცირებული უთანასწორობა;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (01 00)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება**	**2026 წლის პროექტი**	**2027 წლის პროგნოზი**	**2028 წლის პროგნოზი**	**2029 წლის პროგნოზი**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**10,562.5**	**11,146.1**	**12,000.0**	**12,857.7**
01 01	**საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა**	**10,147.5**	**10,731.1**	**11,585.0**	**12,442.7**
01 01 01	**მუნიციპალიტეტის საკრებულო**	**1,655.9**	**1,688.8**	**1,733.9**	**1,869.9**

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	8,420.0	8,965.0	9,766.0	10,480.0
01 01 04	საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება	71.6	77.3	85.1	92.8
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	415.0	415.0	415.0	415.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	300.0	300.0	300.0	300.0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	100.0	100.0	100.0	100.0
01 02 04	მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა	15.0	15.0	15.0	15.0

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
01 01 04	საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერია	
ქვეპროგრამის მიზანი	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება, შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება-გამომუშავება, მათთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის მიზნით.	
ქვეპროგრამის აღწერა	საჯარო მოხელეებისთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის, მათი შესაძლებლობების გამოვლენის, პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირებისა და მოგვარების სტრატეგიების დაგეგმვის მიზნით მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის ჩამოყალიბებას. პროგრამით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეების გადამზადება სხვადასხვა სფეროში. გადამზადების პროცესი შედგება სამი ეტაპისაგან: მოსამზადებელი ეტაპი, გადამზადების ეტაპი და შედეგების მონიტორინგი. გადამზადების მიზნით ხორციელდება შემდეგი აქტივობები: 1. ტრენინგ- საჭიროებათა კვლევა (ანკეტირება); 2. მიღებული მონაცემების ანალიზი, სისტემატიზაცია, ერთიანი ბაზის ფორმირება, პრიორიტეტული მოდულების იდენტიფიცირება; 3. მცხეთის მუნიციპალიტეტის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესაბამისი წლის გეგმის განხორციელება; 4. მიმდინარე პროცესისა და შედეგების მონიტორინგი-შეფასება.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დანერგილია საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა	

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები;

პროგრამული კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**		**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**			
01 02 04	მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა		**საერთო დანიშნულების ხარჯები**			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერია	**დაფინანსების წყარო**	**2026 წელი**	**2027 წელი**	**2028 წელი**	**2029 წელი**
		მუნიციპალური ბიუჯეტი	15,0	15,0	15,0	15,0
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხების რეალიზაციისათვის ცალკეული ღონისძიებების შემუშავება და დაგეგმვა;					
ქვეპროგრამის აღწერა	მცხეთის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობებისთვის საჭირო ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება.					
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტში შექმნილია პირობები ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობისთვის					
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა			მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები			